



სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის მეშვიდე მიმოხილვა დაასრულა

გაგრძელდეს დაუყოვნებლივ

- სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაამტკიცა საქართველოსთვის 113.9 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა, რაც საქართველოს კოვიდ 10 პანდემიით გამოწვეული საგადამხდელო ბალანსის მყისიერი საჭიროებების მოგვარებაში დაეხმარება.
- საქართველოს ხელისუფლებამ მართებული ნაბიჯები გადადგა ეკონომიკის მკვეთრი შენელების ფონზე შოკის დამაზიანებელი ეკონომიკური და სოციალური გავლენის შესამსუბუქებლად.
- მაკროეკონომიკური პოლიტიკის დისციპლინა და სტრუქტურული რეფორმების დამაჯერებელი განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური აღმავლობის ხელშესაწყობისა და კოვიდ 19-ის შოკით გამოწვეული დანაკარგის შესამცირებლად.

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 16 დეკემბერი, 2020: დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს ეკონომიკური რეფორმის პროგრამის მეშვიდე მიმოხილვა დაასრულა. ამ პროგრამას სსფ „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში 4 წლიანი დაფინანსებით უჭერს მხარს.

ამ მიმოხილვის დასრულებისას საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება SDR79 მილიონი (დაახლოებით \$113.9 მილიონი დოლარი), რაც საქართველოს დაეხმარება COVID-19 პანდემიის გამო შექმნილი საგადამხდელო ბალანსის მყისიერი საჭიროებების მოგვარებაში, ასევე ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების გაზრდილი ხარჯების დაფინანსებაში. ამ ჩამორიცხვის შემდეგ, საქართველოს მთლიანი ჩამორიცხვები SDR406 მილიონი (დაახლოებით \$585.4 მილიონ დოლარი) იქნება.

აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ განხილვის დასრულებისას ბატონმა ტაო ჟენგმა, სსფ-ს მმართველი დირექტორის მოადგილემ და სხდომის თავჯდომარემ, განაცხადა შემდეგი:

‘COVID-19 პანდემიის გამო საქართველოს ეკონომიკა მკვეთრად შენედა. პანდემიის პირველი ტალღის წარმატებით შეკავების მიუხედავად, შემთხვევების ბოლოდროინდელმა ზრდამ ახალი ზომების მიღება მოითხოვა, რამაც აღდგენის პროცესი შეიძლება შეასუსტოს. რისკები დიდია და, მეტწილად, ნეგატიური.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის მოლოდინების მოსათოკად ზომიერად მკაცრი მონეტარული პოზიცია სათანადოდ შეინარჩუნა და, ამასთან, გაცვლითი კურსის მოქნილობა უზრუნველყო. ინფლაციური წნეხი შემცირდა, რადგან სხვაობა პოტენციურ და ფაქტიურ გამოშვებას შორის გაიზარდა და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი დასტაბილურდა. ბაზრის გაუმართავი მუშაობის თავიდან ასაცილებლად და ინფლაციის 3 პროცენტთან მიზანთან დასახლოებლად შესაძლოა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის და სავალუტო ინტერვენციების შენარჩუნება გახდეს საჭირო. მაკროეკონომიკური პოლიტიკის დისციპლინით და დონორების მხარდაჭერით სავალუტო რეზერვები ადეკვატურ დონეზე შენარჩუნდება. ეკონომიკის აღდგენამდე ფინანსური რისკების პროაქტიული მონიტორინგი და საბანკო კაპიტალის

შენარჩუნებაზე მიმართული ქმედებები ეკონომიკის გაჯანსაღებას შეუწყობს ხელს.

პანდემიაზე ფისკალურმა პასუხმა ხელი შეუწყო ამ გამოწვევის დამაზიანებელი ეკონომიკური და სოციალური შედეგების შემსუბუქებას, ჯანდაცვის ხარჯების ზრდას, მიზანმიმართულ და დროებით დახმარებას შინამეურნეობებისა და ბიზნესისათვის და კაპიტალური ინვესტიციების შენარჩუნებას. 2021 წლის ბიუჯეტი ეკონომიკის აღდგენის ხელშეწყობას გააგრძელებს, თუმცა, საქართველოს ფისკალური წესის მოთხოვნის შესაბამისად, ფისკალურ კონსოლიდაციას დაიწყებს. ხელისუფლების მიერ იმ ფისკალური რისკების პროაქტიული მონიტორინგი, რომელიც ელექტროენერჯის შესყიდვების ხელშეკრულებებისა და სახელმწიფო საწარმოებისგან მომდინარეობს, ხელს შეუწყობს ვალის მდგრადობას. სახელმწიფო საწარმოების რეფორმის გეგმა საჯარო სექტორის ეფექტურობას გააუმჯობესებს.

სტრუქტურული რეფორმების დამაჯერებელი განხორციელება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური აღმავლობის ხელშესაწყობისა და კოვიდ 19-ის შოკით გამოწვეული დანაკარგის შესამცირებლად. ინვესტიციების მობილიზება, განათლების რეფორმის შემდგომი განხორციელება, გადახდისუნარობის ახალი ჩარჩოს განხორციელება, ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება და სასამართლო რეფორმები კიდევ უფრო გააუმჯობესებს ბიზნეს გარემოს და ხელს შეუწყობს ზრდას, სადაც წამყვანი კერძო სექტორი იქნება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის შესრულება დამაკმაყოფილებელია. 'გაფართოებული დაფინანსების მექანიზმი' ხელისუფლებას ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში დაეხმარა, რამაც ეკონომიკაზე პანდემიის გავლენა შეზღუდა.

ცხრილი 1. შერჩეული ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები, 2018–21

	2018	2019	2020	2020	2021
	ფაქტი		1/	პროგნოზი	
ეროვნული ანგარიშები და ფასები 2/					
რეალური მშპ	4.8	5.1	-4.0	-5.1	4.3
ნომინალური მშპ (მლრდ ლარი)	44.6	50.0	50.3	49.9	53.9
ნომინალური მშპ (მლრდ აშშ დოლარი)	17.6	17.7	15.1	16.2	17.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ათასი აშშ დოლარი)	4.7	4.8	4.1	4.4	4.6
მშპ დეფლატორი, პერიოდის საშუალო	4.3	6.4	5.1	5.2	3.8
სფ ინფლაცია, პერიოდის საშუალო	2.6	4.9	4.7	5.2	2.5
სფ ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.5	7.0	3.5	3.5	3.0
ინვესტიციები და დანახოგი			(მშპ-ს პროცენტი)		
მთლიანი ეროვნული დანახოგი	21.4	23.2	20.3	16.6	15.1
ინვესტიციები	28.1	28.6	31.6	26.4	23.6
სახელმწიფოს მიერ	6.4	7.9	6.4	8.1	7.9
კერძო სექტორის მიერ	21.7	20.7	25.2	18.3	15.7
კონსოლიდირებული ბიუჯეტი			(მშპ-ს პროცენტი)		
შემოსავლები და გრანტები	26.4	26.7	24.1	24.9	24.9
მშ. საგადასახადო შემოსავლები	23.4	23.7	21.4	21.8	22.3
ხარჯები	29.2	29.1	32.9	34.2	32.9
მიმდინარე ხარჯი	21.3	21.0	26.2	25.9	24.9
კაპიტალური ხარჯი და ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხი	7.9	8.1	6.7	8.3	8.0
წმინდა სესხება/დაკრედიტება (GFSM 2001-ის მიხედვით)	-0.8	-1.8	-8.2	-8.8	-7.4
მოდერნიზირებული წმინდა სესხება/დაკრედიტება (დეფიციტი სსფ-ს პროგრამის განმარტებით)3/	-2.3	-2.0	-8.5	-9.0	-7.5
საჯარო ვალი 4/	38.4	41.2	62.8	56.3	59.1
ფინანსები და კრედიტი			(პროცენტი, თუ თუ სხვა მითითება არაა)		
კერძო სექტორზე გაცემული კრედიტი (წლიური % ცვლილება)	19.9	20.7	5.9	17.1	6.5
ფიქსირებული გაცვლითი კურსით ფართო ფული (წლიური % ცვლილება)	17.7	16.1	-2.3	10.0	6.0
ფართო ფული (მშ. დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში, წლიური % ცვლილება)	13.9	17.6	3.6	14.3	16.5
ფართო ფული (მშ. დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში, წლიური % ცვლილება)	15.9	18.8	-4.6	14.3	17.7
ფიქსირებული გაცვლითი კურსით დეპოზიტების დოლარიზაცია (% წილი მთლიანში)	15.1	14.3	3.1	8.8	14.9
დეპოზიტების დოლარიზაცია (% წილი მთლიანში)	63.1	64.0	62.4	64.1	63.4
სესხების დოლარიზაცია (% წილი მთლიანში)	57.1	55.4	51.6	56.9	56.7
სესხების შეფარდება მშპ-სთან	57.4	61.8	66.2	72.6	71.5
საგარეო სექტორი			(მშპ-ს პროცენტი, თუ სხვა მითითება არაა)		
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	-6.8	-5.4	-1.7	-9.8	-8.5
სავაჭრო ბალანსი	-23.4	-21.0	-11.3	-17.1	-16.8
სავაჭრო ფასების შედარება (პროცენტული ცვლილება)	-5.2	2.5	-20.4	4.8	-0.5
მთლიანი საერთაშორისო რეზერვი (მილიარდი აშშ დოლარი)	3.3	3.5	3.5	3.6	3.4
სსფ-ს კომპოზიტური საზომის მიმართ (მცურავი)	95.0	99.0	103.9	105.4	95.4
მთლიანი საგარეო ვალი	100.3	103.4	136.3	127.0	129.0
მთლიანი საგარეო ვალი, გარდა კომპანიათაშორისი	82.2	85.0	111.4	103.8	106.5
ლარი დოლართან (პერიოდის საშუალო)	2.53
ლარი ევროსთან (პერიოდის საშუალო)	2.99
REER (პერიოდის საშუალო; სამომხმარებლო ფასებზე დაყრდნობით; 2010=100)	106.2

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და სსფ-ს თანამშრომელთა გამოთვლები.

1/ მეექვსე მიმოხილვის დროინდელი პროგნოზი 20/149. მეექვსე მიმოხილვის დოკუმენტები მოცემულია შემდეგ ლინკზე: <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2020/05/05/Georgia-Sixth-Review-Under-the-Extended-Arrangement-and-Requests-for-a-Waiver-of-49394>

2/ მოდიფიცირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (პროგრამის განმარტება) = წმინდა დაკრედიტება/სესხებას გამოკლებული ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხები.